გაუმარჯოს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის IX წლისთავს! დიდება თავისუფლებისმოყვარე ჩინელ ხალხს!

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

სპორტული ლელო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

№ 117 (1287) | სამშაბათი, 30 სექტემბერი, 1958 წ. | გამოცემის მე-15 წელი. | ფასი 20 კაპ.

გ ა მ ა რ ჯ ვ ე ბ უ ლ ე ბ ს

ჩინელი და საბჭოთა ალპინისტების ჯგუფმა 38 კაცის შემადგენლობით მოახდინა ასვლა ერთ-ერთ უმაღლეს მწვერვალზე — ლენინის პიკზე. ჯგუფში იყვნენ ქართველი ალპინისტებიც — მ. ხერგიანი, ი. კახიანი და სხვ.

ცნობილმა რუსმა პოეტმა ნ. ტიხონოვმა ამ მნიშვნელოვანი სპორტული მოვლენის შესახებ დაწერა ეს ლექსი.

სადაც ღრუბლები არწივების სამყოფელს აცდა,
სადაც ერთურთზე დახერგილან ლოდები ფართო, —
ლენინის პიკი გადაჭყურებს სამყაროს მკაცრად,
მარტო ყინული, მარტო თოვლი, კლდეები მარტო.

დღე დღეებს მისდევს... ძმადნაფიცნი თოვლის და ქარის,
ვერცხლისფერ მთათა დასაპყრობად ერთად შეყრილან,
ალპინისტები უსასრულო ჩინეთის მხარის
და ოსტატები საბჭოეთის დიდი ქვეყნიდან.

სძლიეს ვაჟებმა ნაპრალებში სიკვდილის ფეთქვას,
უნაყოფობას, ყინულეთსა, თოვლსა და ქარსა,
ოცდათვრამეტი გმირი პიკზე ავიდა ერთად,
რაც არ მომხდარა ქვეყანაზე არასდროს, არსად.

უბერავს ქარი, გაუშლიათ დროშებსაც ფრთები.
გარემო არის მეგობრობის სინათლით სავსე
მხარიმხარ დგანან ჩინელი და საბჭოთა ძმები
დიდ მიღწევათა დაპყრობილი მწვერვალის თავზე.

შორი მხარიდან, მძიმე ფიქრით მოცული უხვად,
სულ სხვა ქედების საყაროდან, სულ სხვა მთებიდან,
კლდეზე შემდგარი გადმოსცქერის ძმებს ჯომოლუნგმა,
მთათა ძირს გაშლილ ველ-მინდვრებს რომ უბრუნდებიან.

თარგმანი **ვ. გოგოლაშვილისა.**

გულითადი მეგობრები

ჩინეთი. ეს არის უმდიდრესი ისტორიული წარსულის ქვეყანა. მრავალი საუკუნის განმავლობაში მისი თვალუწვდენი ველმინდვრები ჯერ საკუთარი იმპერატორების, ხოლო შემდეგ მრავალი ჯურის კოლონიზატორთა სათარეშო იყო. ქედზე მონობის მძიმე უღელი ედგა 600 მილიონიან ხალხს, გმინავდა, სისხლისგან იცლებოდა, მაგრამ გამარჯვების იმედს მაინც არ კარგავდა და ბრძოლით იკაფავდა გზას დასახული მიზნისაკენ.

ეს დღე 9 წლის წინათ გათენდა. ჩინელმა ხალხმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში დაამარცხა ჩანკაიშელთა ბრბო და 1949 წლის პირველ ოქტომბერს ბეკინის დიდ მოედანზე მილიონიან მიტინგზე თავმჯდომარე მაო ძედუნმა ჩინეთი სახალხო რესპუბლიკად გამოაცხადა.

დაიწყო ახალი ცხოვრება, დაიწყო თავისუფალი შემოქმედებითი შრომა არა ექსპლოატატორთა და კოლონიზატორთა ჯიბის გასქელებისათვის, არამედ საკუთარი, სამშობლოს ბედნიერებისათვის. რესპუბლიკის გამოცხადების პირველსავე დღიდან დაიწყო კულტურის, მრეწველობისა და სახალხო მეურნეობის აღმავლობა. გაყვანილ იქნა გზები, ბეტონის ჩარჩოებში მოექცა მდინარეები, აგებულ იქნა ელექტროსადგურები, რეფორმა განიცადა სწავლა-განათლებამ და რასაკვირველია, ფიზკულტურამ და სპორტმაც.

ამ სამი წლის წინათ თბილისს ეწვია ჩინეთის ქალთა და ვაჟთა კალათბურთელთა ნაკრები გუნდები. შეჯიბრების წინ დელეგაციის ხელმძღვანელმა ჩენ ი-ხოომ ჩვენი გაზეთის კორესპონდენტთან საუბარში განაცხადა: „ყველა დარგში და განსაკუთრებით სპორტში წინსვლას ჩვენ უნდა ვუმადლოდეთ დიდ საბჭოთა კავშირს, ჩვენ ერთგულ, გულისხმიერ მეგობარს. ჩვენ გვწვრთნიან და სპორტისადმი სიყვარულს გვიღვიძებენ საბჭოთა მწვრთნელები. მათი დახმარებით გამოვედით ჩვენ საერთაშორისო სარბიელზე". მართლაც, საბჭოთა კავშირის უანგარო დახმარებამ დიდად შეუწყო ხელი ჩინეთის პოლიტიკურ და ეკონომიურ გაძლიერებას. დიადი მეგობრობა — ასე უწოდებენ ჩინეთისა და საბჭოთა კავშირის ურთიერთობას, ისტორიაში არ არის მეორე ასეთი მჭიდრო და სამარადისო ძმობის ფაქტი.

მაგრამ საერთაშორისო რეაქციას არ მოსწონს ჩინეთის ყოველმხრივი განვითარება. აღმოსავლეთში „კომუნისტური საშიშროების კერის" საბაბით ყოველ ღონეს ხმარობს, რათა სახალხო ჩინეთი ჩააყენოს გამოუვალ მდგომარეობაში. ამ მიზნით მოაწყვეს ჩინეთის სანაპიროების ბლოკადა, ყოველგვარ დახმარებას უწევენ ჩანკაიშელთა ხროვას, რომელიც ტაივანზე მოკალათდა და სურს კვლავ ექსპლოატატორთა უღელში შეაბას 600-მილიონიანი ხალხი. აი ახლაც, როდესაც ჩინელები სახალხო რესპუბლიკის მე-9 წლისთავს ზეიმობენ, ტაივანის სრუტე სავსეა ამერიკის ავიამზიდავებით, რეაქტიული თვითმფრინავებით. დაშინებისა და მუქარის გზით სურს ხელი ააღებინოს ჩინელ ხალხს სამართლიან მისწრაფებაზე — გაანთავისუფლოს ტაივანი და კონტინენტალური ჩინეთის სანაპიროს სხვა კუნძულები, რომლებიც დღემდე ჩანკაიშელთა ხელშია.

მაგრამ ამ საპასუხისმგებლო მომენტში ჩინეთი მარტო არ არის. მასთანაა საბჭოთა კავშირი, დემოკრატიული ქვეყნები და პროგრესული კაცობრიობა. ჩინეთი მიაღწევს თავის მიზანს, მთლიანად გაანთავისუფლებს თავის მიწა-წყალს, კიდევ უფრო გააუმჯობესებს თავისი ქვეყნის მშრომელთა საყოფაცხოვრებო პირობებს და მტკიცედ ივლის კომუნიზმის გზით.

ამას წინათ, ყურნალ „დრუჟბა ნაროდოვში" გამოქვეყნდა გამოჩენილი ჩინელი მწერალი ქალის ცაო მანის მოთხრობა „სიმღერა გაზაფხულზე". იგი მთავრდება მეტად უბრალო ფრაზით: „ღამე ცივი იყო, ენ ცინი კი მიდიოდა და მღეროდა გაზაფხულზე, ადრეულ ცისკარზე, მზეზე, რომელსაც არ უნდა ძილი". ფრაზა მეტად სიმბოლიურია. ახალი ცხოვრების მზე ანათებს ჩინეთის ცაზე. ამ მზეს ნამდვილად „არ უნდა ძილი". იგი უკვე არა ერთი ათეული წელია დაბნათის საბჭოთა აღმოსავლეთის თავისუფალი რესპუბლიკების მთაბარს. იგი სულ უფრო მაღლა მიიწევს აფრიკისა და აზიის ცაზე, რომელიც კოლონიალიზმის საზიზღარი უღლისაგან თავისუფლდება. ამ მზის ცხოველმყოფელი სხივები ათბობს ხალხთა გულებს, გზას უნათებს მსოფლიოს თავისუფლების, ეროვნული დამოუკიდებლობისა და პროგრესისაკენ.

პირველი ოქტომბერი ჩინელი ხალხის დიდი დღესასწაულია. ამ სიხარულს ვიზიარებთ ჩვენც, საბჭოთა ადამიანები, რომლებსაც მეგობრობის უწყვეტი ძაფები გვაკავშირებს მათთან — ჩვენს შორეულ აღმოსავლეთელ ძმებთან.

დიდება და გამარჯვება ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას, მის ბურჯს ჩინეთის კომუნისტურ პარტიას!

შვიდი მსოფლიო რეკორდი

27 სექტემბერს ბრატისლავაში ფიქსირებულ იქნა რუსეთის ნაკრებ-ეროვნული საბჭოთა კავშირში სტუმრად მყოფი ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის ძალოსანთა ამხანაგური საერთაშორისო შეხვედრა, რომელიც დამთავრდა რუსეთის ფედერაციის ნაკრები გუნდის გამარჯვებით, ანგარიშით—12:6. შეჯიბრების მსვლელობის დროს ქვემსუბუქი წონის საბჭოთა ატლეტმა ვ. კორეამ აჭიმა 118,5 კილოგრამი და დაამყარა ახალი მსოფლიო რეკორდი. კემეროველმა რ. პლიუკფელდერმა (საშუალო წონა) აჭიმვაში აჩვენა 147,5, ატაცში 138 კგ, ხოლო კლასიკურ სამჭიდში 452,5 კგ., სამივე შედეგი აღემატება ოფიციალურ მსოფლიო რეკორდებს.

წარმატება ხვდა წილად აგრეთვე ქვესაშუალო წონის ძალოსანს ა. კურინოვს (სსრ კავშირი), რომელმაც გაუმჯობესა ამერიკელ ტ. კონოს მსოფლიო რეკორდი აკვრაში. საბჭოთა ძალოსანმა დაძლია 169,5 კგ.

ლაიპციგში გამართული მეგობრული არმიების სპარტაკიადაზე ჩინეთის სახალხო-გამანთავისუფლებელი არმიისა და სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების სპორტსმენებმა გაუმჯობესეს მსოფლიო რეკორდები.

4-5-6-7 ოქტომბერი

თბილისში ჩატარდება საბჭოთა კავშირის პირად-გუნდური პირველობა თავისუფალ ჭიდაობაში

შეჯიბრება ჩატარდება კიროვის სახელობის პარკის კალათბურთის სტადიონზე.

გასულ კვირას თბილისში დაიწყო საკავშირო გუნდური პირველობა ჩოგბურთში. ანგარიში იხ. მე-3 გვ.

სურათზე: თბილისელი ჩოგბურთელები ყვავილებს გადაცემენ სპორტის დამსახურებულ ოსტატ ნ. ოზეროვს.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

საიდუმლოება? არა — სისტემა!

მოსწავლეთა სპარტაკიადის შედეგების გამო

✦

სპარტაკიადებზე იბრძვიან და სწავლობენ. დამარცხებულები ყოველთვის ცდილობენ გაიგონ გამარჯვებულთაგან თუ როგორ აღწევენ წარმატებებს ისინი. უკანასკნელ დღეს, ის ის იყო გამოქვეყნდა საბოლოო შედეგები, რომ საქართველოს მოსწავლეთა გუნდის ხელმძღვანელებს სეტყვასავით მიაყარეს შეკითხვები — „გვითხარით თქვენი საიდუმლოების შესახებ“,— ეკითხებოდნენ ლენინგრადელები, უკრაინელები, მოსკოველები...

— საიდუმლოება? არა, — პასუხობდნენ ქართველი მწვრთნელები — სისტემა! — ეს სხვა საქმეა. საქართველოში დარწმუნდნენ, რომ მოსწავლეთა სპორტული მომზადების ხელმძღვანელობა ერთ ხელში უნდა იყოს მოქცეული. აქ პრაქტიკაშია არა ძველებური დაქსაქსულობა, როცა ნორჩი სპორტსმენები გაბნეული იყვნენ სხვადასხვა საზოგადოებათა სექციებში და შეუძლებელი იყო მათი შედეგების ამაღლებაზე თვალყურის დევნება. რესპუბლიკაში ჭაბუკთა სპორტს ხელმძღვანელობს განათლების სამინისტროს სპეციალური კომისია. განმტკიცდა და გაფართოვდა ბავშვთა სპორტული სკოლები. მიწვეულ იქნა ყველა საუკეთესო მწვრთნელი, რამაც ხელი შეუწყო ჭაბუკებისა და გოგონების ფიზიკური აღზრდის ფართო გეგმირებას. დაიწყო ტრადიციის დაბადება.

ერთ-ერთი მთავარი — პერსპექტივის გრძნობაა. უფროსებთან, 18 წლიანებთან ერთად იწვრთნებიან უმცროსი ასაკის ბავშვები, ისინი, რომლებმაც მომავალში უნდა დაიცვან რესპუბლიკის სპორტული დირსება. ამჟამად საქართველოში სპორტის რამდენიმე სახეობაში მზადაა გუნდები რამდენიმე წლისათვის.

ცნობილია, რომ მწვრთნელი, რომელმაც „აღმოაჩინა“ ნიჭიერი მოზარდი, ხშირად იძულებულია დაემშვიდობოს მას, გადასცეს დიდი სახელის მქონე კოლეგას. ამის გამო იგი ნაწყენი რჩება, ჰკარგავს მუშაობის სტიმულს. საქართველოს მწვრთნელებში შემოღებულია წესი, რომლის მიხედვით ჭაბუკის აღზრდას თავიდან ბოლომდე ხელმძღვანელობს მისი პირველი მასწავლებელი, ხოლო გამოუვალი მდგომარეობის დროს მის დასახმარებლად მოდიან გამოცდილი მწვრთნელები — კონსულტანტები.

საინტერესოა კიდევ ერთი ტრადიცია. ბავშვთა სპორტულ სკოლებში სისტემატურად ტარდება შეჯიბრებები სასწავლო ჯგუფებს შორის. ყველა ჯგუფი ითვლება როგორც გუნდი და მისი სიაღრმე განაცხადს. ასეთი შეჯიბრებები ავალდებულებს მწვრთნელებს თანაბარი ყურადღება მიაქციონ ყველა მოსწავლეს.

შეიძლება ითქვას, რომ ყოველივე ეს მთელი ძალით გამოვლინდა მძლეოსნობაში: გასული წლის მე-10 ადგილიდან მე-2 ადგილზე გადანაცვლება, ცალკეულ სახეობებში 6 გამარჯვებული, 3 საკავშირო რეკორდი! რა არის ეს, შემთხვევითობა?

„ნაყოფი დიდიხანს რჩება დაუმწიფებელი, მაგრამ მოდის დრო, როცა იგი მწიფდება“,—ეს სიტყვები ჩვენ მოვისმინეთ მწვრთნელ ე. გაგუასაგან. მართლაც, ნაკრებში შედიან ის ბავშვები, რომლებიც 15-16 წლის ასაკში იყვნენ მოსკოვისა და რიგის სპარტაკიადებზე და სახლში წარუმატებლობით დარცხვენილები დაბრუნდნენ. მასწავლებლები ამშვიდებდნენ განაწყენებულ მოსწავლეებს და კვლავ მუშაობაში აბამდნენ მათ, სჯეროდათ, რომ მოვა დრო, როცა ნაყოფი დამწიფდება.

დამარცხება კარგი მასწავლებელია. მძლეოსნობის ქართველი სპეციალისტები ფიქრობდნენ, რომ მათი რესპუბლიკა იწოდება ოქროს მხარედ — ზამთარი აქ თითქმის არ იცის, მთელი წლის განმავლობაში შეიძლება ივარჯიშო სუფთა ჰაერზე, ჩრდილოეთელები იძულებულნი არიან წელიწადში რამდენიმე თვით დარბაზის ოთხ კედელში ჩაიკეტონ.

და აღმოჩნდა, რომ ქართველ სპორტსმენებს, რომლებიც ყოველთვის დარბოდნენ, ტყორცნიდნენ ბადროს, ჭრავდნენ ბირთვს, ხვეწდნენ ტექნიკას, არ ყოფნიდათ გამძლეობა, რასაც მათი მოწინააღმდეგეები დარბაზში ვარჯიშით იძენდნენ.

საჭირო გახდა მეთოდიკის გადახედვა. ბოლოს მოვიდა მათი დრო. დრო გამარჯვებისა. ვინ არიან ეს გამარჯვებულები?

• გუნდის ერთ-ერთი ლიდერი უთუოდ ი. დიაჩკოვი-დუმბაძეა. მეტად მაღალია იგი. ოდნავ მოუხეშავი. მაგრამ, როცა მას სარბენ ბილიკზე ხედავ, ცხადი ხდება თუ რა მადლით დაუჯილდოებია იგი ბუნებას. იურის სპორტული მომავალი საიმედო ხელშია. მისი მამა, სპორტის დამსახურებული ოსტატი ბ. დიაჩკოვი ხელმძღვანელობს იურის პერსპექტიულ აღზრდას. ი. დიაჩკოვი ჭოკით ხტება 3 მეტრსა და 80 სანტიმეტრზე, სიმაღლეზე ხტომაში მისი საუკეთესო შედეგია 1 მ და 90 სმ, ბადროს ტყორცნის 40 მეტრამდე. მამის დარიგებით ერთწელს იგი ვარჯიშობდა ფრენბურთის სექციაში და მოიპოვა პირველი თანრიგი. მძლეოსნობის რომელ სახეობას აირჩევს ეს ჭაბუკი? ჯერჯერობით უცნობია. ერთი კი ნათელია, რომ მას შეუძლია მიაღწიოს ძალიან ბევრს.

ლიუდა იევლევა — ორგზის რეკორდსმენი, რუხფერთვალებიანი მორცხვი გოგონა, ნიჭიერი სპორტსმენია. იგი არ ზარმაცობს ვარჯიშებზე, დიდი ხნის განმავლობაში მას აკლდა, შეიძლება ითქვას, „სპორტული თავმოყვარეობა“. შეჯიბრებებზე თბილისელი მხტომელი ხშირად წარუმატებლად გამოდიოდა, მაგრამ მისი თვალები მშვიდად, ძალზე მშვიდად გამოიყურებოდნენ

„მძინარე მზეთუნახავმა“ გამოიღვიძა მხოლოდ მიმდინარე წლის ზაფხულში. მისმა მწვრთნელმა კონსტანტინოვმა მასში გააღვიძა ბრძოლის ყინი და აი შედეგიც: 2 რეკორდი! ჩვენ თვალყურს ვადევნებდით იევლევას გამოსვლას სიგრძეზე ხტომაში. იგი აიტყორცნებოდა არეკნის ადგილიდან მაშინ, როცა გარბენის სისწრაფე ძალზე მაღალი იყო. ყველა ცდის შედეგი თითქმის თანაბარი იყო და ბოლოს რეკორდი — 5 მ 98 სმ!

შუბის მტყორცნელი ნოდარ კორსანტია ხასიათით სრულიად არ წაგავს ლიუდას. ჩაფსკვნილი, დაკუნთული გალელი ჭაბუკი თავმოყვარე და ფიცხია, მისი მწვრთნელი ეზუგბაია ყოველთვის ცდილობდა დაეოკებინა მისი ფეთქებადი ძალა, რომელსაც მოკლე და სწრაფი გარბენის შემდეგ შუბი უნდა აეტყორცნა შორს, ცაში. ნოდარის თანაკლასელი ოთარ ზუხბაია ნიჭიერი ბადროს მტყორცნელია და როგორი სასიხარულოა, რომ პატარა გალმა რესპუბლიკის ნაკრებს მისცა საკმაო ძალა.

მწვრთნელები ამტკიცებენ, რომ ვ. ლაბუნსკის გაუმართლდა. მის მოწაფესთან, სპრინტერ ანდრო ბედუკაძესთან მუშაობა მხოლოდ სიამოვნებაა. ჭაბუკი მიზანსწრაფი და სერიოზულია. ყველაფერი სამაგალითოდ ესმის და სწრაფად ითვისებს. შარშანწინ ბედუკაძე ვერ მოხვდა ნაკრებში, მაგრამ სპარტაკიადაზე წავიდა, რომ ესწავლა. გასულ წელს იგი აღმოჩნდა მესამე ათეულის ბოლოს, აჩვენა რა 100 მეტრზე რბენაში 11,7 წამი. ამჟამად მისი დროა 10,9 (გარბენში — 10,8) და იგი სპარტაკიადაში გამარჯვებული გამოვიდა.

ყველას, ვინც მოსწავლეთა ნაკრების ძირითადი ბირთვია, შეუსრულდათ ან მალე შეუსრულდებათ 18 წელი. საერთოდ ყველა კოლექტივი მძიმედ განიცდის წამყვანი სპორტსმენის წასვლას, მაგრამ ზაფხულში წვრთნაზე ბედუკაძესთან, იევლევასთან, კორსანტიასთან და სხვებთან ერთად ნახავდით მათ პატარა ამხანაგებს — 14-15 წლის ბიჭებსა და გოგონებს. გუნდის შემადგენლობაში რასაკვირველია, ისინი ვერ მოხვდნენ, მაგრამ ეს ჯგუფი 1960 წლის ნაკრების ბირთვია.

საქართველოს ნორჩმა ტანმოვარჯიშეებმა მიაღწიეს უფრო მეტს, ვიდრე მძლეოსნებმა: ხელიდან არ გაუშვეს გასულ წელს მოპოვებული პირველობა. მათი გამარჯვების საიდუმლეობა აგრეთვე სისტემაშია. ბავშვთა ერთ ტანვარჯიშულ სკოლას თბილისში აქვს 69 სასწავლო ჯგუფი, რომლის ხელმძღვანელობას ახორციელებს 34 გამოცდილი მწვრთნელი. სპარტაკიადის დაწყებამდე საჭირო იყო მხოლოდ საუკეთესოთა არჩევა. როცა საქართველოს გუნდის გამოსვლის რიგი მოვიდა, პირველად იარაღთან მივიდა გამხდარი გოგონა დონარა ჯანუკაშვილი. იგი 13 წლისაა და უკვე „ოსტატობის კანდიდატია“. დონარა ყოველთვის დინჯი და აღუშფოთებელი იყო იარაღებზე და უყურებდნენ რა მის გაბედულ მოძრაობებს, თანაგუნდელები აღარ ღელავდნენ. ეს გოგონა არ იყო უძლიერესი, მაგრამ მას წინ სუთი სპარტაკიადა აქვს და მოვა დრო, როცა იგი გუნდის ლიდერი გახდება, ისეთი, როგორიც მზია ნინოშვილია.

მე-10 კლასელი მზია კვლავ დარჩა ჩვენი ქვეყნის უძლიერეს ტანმოვარჯიშედ მოსწავლეთა შორის. ეს ერთადერთი შემთხვევაა, როცა „მეორეწლიანს“ აჯილდოებენ და მისი შედეგით ზეიმობენ. ტანმოვარჯიშის სული ყველაზე უფრო გამოვლინდება თავისუფალ ვარჯიშში. მზია გამოვიდა ხალიჩაზე ფალიაშვილის „დაისის“ მუსიკის ქვეშ. მისი ვარჯიში იმდენად დახვეწილი და რთული იყო, რომ მსაჯების გარდა ვერავინ მიხვდა თუ რა ელემენტებისაგან შედგებოდა. მაყურებელი ხედავდა ქართველ გოგონას—ფიცხსა და ძლიერს, ამაყსა და გამბედავს. ისინი ტაებებოდნენ და თანაუგრძნობდნენ მას. ნათელი ეროვნული სახე შექმნა ნორჩმა ტანმოვარჯიშემ. ეს იყო სპორტული და მხატვრული წარმატება.

კანონიერია ნორჩ კალათბურთელთა წარმატება. ეს იმიტომ, რომ საქართველოში სპორტის ამ სახეობის მტკიცე ტრადიციებია და კარგი სპორტსმენები ანაგვს. ... თბილისში, არამედ ბათუმში, სოხუმში, ჭიათურაში, წულუკიძეში... სწორედ ამ ქალაქების სპორტსმენებით იყო დაკომპლექტებული ნაკრები გუნდები.

ასე გვეგონა, რომ ბაიდარებით ნიჩბოსნობას საქართველოში არ ჰქონდა დიდი მომავალი. ზღვის ტალღებზე ნავები თავს ცუდათ გრძნობენ, მტკვარი კი ყველა მოსწავლემ იცის, რომ თავისებური ხასიათის მდინარეა, რომ თბილისელ ნიჩბოსნებს შეუძლიათ მასზე იმეცადინონ იმ თვეებში, როცა მოქმედებს კაშხალი და როცა წყალი დიდდება. ბევრი როდი ბედავს სავარჯიშოდ მტკვარზე გასვლას.

მიუხედავად ამისა, საქართველოს ნიჩბოსნები სპარტაკიადაზე წარმატებით გამოვიდნენ. მწვრთნელებმა ი. ჩხაიძემ თბილისში და თ. ალიბეგაშვილმა მცხეთაში ორ წელიწადში შეძლეს მეგობრული და ხალხმრავალი სექციის შექმნა. თუკი პირველ ხანებში გუნდის ლიდერები გახდნენ ფიზიკურად ძლიერი მოსწავლეები, შემდეგ მოვიდა ახალი ცვლა — ფიზიკურად ძლიერი და მაღალტექნიკური სპორტსმენები... ნიჩბოსნობაშიც ქართველებს გამარჯვება მოუტანა პერსპექტიულმა გეგმირებამ .

სპარტაკიადის პროგრამაში 13 სახეობა იყო. საქართველოს მოსწავლეებმა ყველგან როდი შეძლეს პირველი ჯილდოების მოპოვება, მაგრამ საქართველოს გუნდის მთავარი ძალა ბრძოლაში იყო, რომ იგი არსად გამოიყურებოდა სუსტად, გარდა მაგიდის ჩოგბურთისა. იგი არ ცდილობდა გამოსულიყო სპორტის რომელიმე სახეობის ხარჯზე, არამედ შეტევას აწარმოებდა სპარტაკიადის მთელ ფრონტზე. ყოველივე ამან გუნდი სრულ გამარჯვებამდე მიიყვანა. რაც მთავარია, ასეთი მრავალმხრივობა — სწორი გზის ყველაზე ზუსტი ნიშანია.

ამბობენ რომ შინ კედლებიც გეხმარებიანო. ამჯერად ეს ძველი გამოთქმა უადგილოა. კედლებმა და გულშემატკივართა სიმპათიებმა არ მოუპოვა საქართველოს გუნდს გამარჯვება თბილისში. გაიმარჯვა სისტემამ — სწორად მოფიქრებულმა და შორს გამიზნულმა.

ეს საქართველოს სპორტისა და მთელი საბჭოთა სპორტის იმედია.

ს. ტოკარევი,
ლ. ფილატოვი.

„სოვეტსკი სპორტი“,

სოფლის ფიზკულტურელთა სპარტაკიადის წინ

მიმდინარე წელი საუწყებო ორგანიზაციათა სპარტაკიადების წელია. ჩატარდა „დინამოს“, „სპარტაკის“, „ლოკომოტივის“, „შრომითი რეზერვების“, პროფკავშირებისა და მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადები, რომლებშიც წარმატებით გამოვიდნენ ჩვენი რესპუბლიკის სპორტული საზოგადოებები და ორგანიზაციები.

ყველა საუწყებო ორგანიზაციათა საკავშირო სპარტაკიადები დამთავრდა, დარჩა მხოლოდ სოფლის ფიზკულტურელთა საკავშირო სპარტაკიადა, რომელიც მიმდინარე წლის 19 ოქტომბრიდან ტარდება სტავროპოლში. სპარტაკიადის პროგრამაშია მძლეოსნობა, ძალოსნობა, თავისუფალი და კლასიკური ჭიდაობა, ვოლორბოლა და ფრენბურთი (ქალები და ვაჟები).

ყველასათვის ცნობილია, რომ სპარტაკიადა აჯამებს ამა თუ იმ ორგანიზაციის მიერ გაწეულ მუშაობას. ასეა ამჯერადაც. ჩვენ ვერ დავკმაყოფილდებით სოფლის ფიზკულტურელთა I საკავშირო სპარტაკიადის შედეგებით, მაშინ საქართველოს მძლეოსნებმა მე-11 ადგილი დაიკავეს, ფრენბურთელმა ვაჟებმა — მე-9, ქალებმა — მე-13 ადგილი, ველოსიპედისტებმა — მე-11 ადგილი, მსროლელებმა —მე-6 ადგილი, მოჭიდავეებმა — მე-2 ადგილი და საერთო ჯამში VI ადგილზე გამოვიდნენ. თუ საქართველოს თითქმის ყველა სპორტულმა საზოგადოებამ და საუწყებო ფიზკულტურულმა ორგანიზაციებმა თავიანთ გასულ საკავშირო სპარტაკიადებში დაკავებულ ადგილებთან შედარებით წელს უკეთესი შედეგები მოიპოვეს, მაშასადამე, არც „კოლმეურნე“ უნდა ჩამორჩეს მათ.

სოფლის ფიზკულტურელთა საკავშირო სპარტაკიადაში უკეთ მონაწილეობის მიზნით, საქართველოს „კოლმეურნეს“ ცენტრალურმა საბჭომ მთელი რიგი ღონისძიებები განახორციელა: შეიქმნა რესპუბლიკური სპარტაკიადის საორგანიზაციო კომიტეტი, მოეწყო ამიერკავკასიის რესპუბლიკების სოფლის ფიზკულტურელთა სამატჩო შეხვედრა ძალოსნობაში, რომელიც საქართველოს სპორტსმენთა გამარჯვებით დამთავრდა; რიგაში ჩატარდა სასოფლო-სპორტულ საზოგადოება „ვარპასა“ და „კოლმეურნეს“ შტანგისტთა ამხანაგური შეხვედრა, გამარჯვებული გამოვიდნენ საქართველოს შტანგისტები, 3-დან 9 ოქტომბრამდე მცხეთაში განზრახულია ლატვიისა და საქართველოს სოფლის ველოსიპედისტთა სამატჩო შეხვედრის ჩატარება და ა. შ.

დიდი ინტერესი გამოიწვია სოფლის ფიზკულტურელთა რესპუბლიკური სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებულმა შეჯიბრებებმა კლასიკურ ჭიდაობაში (სტალინირში), თავისუფალ ჭიდაობაში (ონში), ვოლორბოლაში (მახარაძეში), ძალოსნობაში (ხაშურში), ფრენბურთსა და მძლეოსნობაში (ბათუმში). ამ ღონისძიებებმა ცხადყვეს, რომ გასულ წლებთან შედარებით რესპუბლიკის უმეტეს რაიონებში საგრძნობლად გაუმჯობესდა სოფლის ახალგაზრდობას შორის მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობა, გაიზარდა სპორტულ სექციებში მომეცადინე ფიზკულტურელთა რაოდენობა, იმატა ძირეულ კოლექტივებსა და რაიონებში ჩატარებულ სპორტულ ღონისძიებათა და მათში მონაწილეთა რიცხვმა, გაიზარდა სპორტნაგებობათა ქსელი, რამაც ხელი შეუწყო სოფლის ფიზკულტურელთა სპორტტექნიკური შედეგების თვალსაჩინო ზრდას.

საქართველოს სოფლის ფიზკულტურელთა ნაკრები გუნდები, რომლებიც მთელი სერიოზულობით ემზადებიან საკავშირო სპარტაკიადაში მონაწილეობისათვის, ძირითადად დაკომპლექტებულია სპორტის ოსტატებითა და პირველთანრიგოსნებით. ძნელია წინასწარ თქმა იმისა, თუ რომელ გუნდს როგორი შედეგი ექნება, მაგრამ უნდა ვიგულისხმოთ, რომ თავისუფალი და კლასიკურ მოჭიდავეთა გუნდები, ძალოსნები და ფრენბურთელები იბრძოლებენ საპრიზო ადგილების მოსაპოვებლად.

საკავშირო სპარტაკიადის დაწყებამდე ცოტა დრო დარჩა. საჭიროა მაქსიმალურად გამოვიყენოთ დარჩენილი დღეები და ერთხელ კიდევ შევამოწმოთ ჩვენი ძალები.

ტ. კიკნაველიძე,
„კოლმეურნეს“ ცენტრალური საბჭოს საორგანიზაციო-მასობრივი მუშაობის განყოფილების გამგე.

ვინ მოიპოვებს თასს?

დასასრულს უახლოვდება ფეხბურთის სეზონი. კიდევ რამდენიმე მატჩი და გამოირკვევა თუ ვინ მოიპოვებს გაზეთ „ტრუდის“ თასს, რომელიც დაწესებულია ყველაზე შედეგიანი ფეხბურთელისათვის. დღეისათვის მისი მიღების ყველაზე რეალური შანსები აქვს მოსკოვის „სპარტაკის“ მარცხენა გარემარბს ა. ილინს, რომელმაც მოწინააღმდეგის კარში მიმდინარე სეზონში გაიტანა 18 ბურთი.

ვ. ივანოვი („ტორპედო“) ლიდერს ჩამორჩება 4 გოლით. 13 ბურთი აქვს გატანილი ტორპედოელ გუსაროვს. ამ თავისებურ შეჯიბრებაში მეოთხე ადგილზეა ვ. ურინი, რომელმაც 11 ბურთი გაიტანა, მას თითო გოლით ჩამორჩებიან გ. აპუხტინი და შ. იამანიძე. 9-9 ბურთი გაიტანეს ვ. ვოროშილოვმა, ნ. სიმონიანმა და ა. მამედოვმა. X-XII ადგილს იყოფენ ვ. ბუზუნოვი, ვ. ბუბუკინი და ი. ფალინი — 8 ბურთი თვითეულმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რევანში არ შედგა

✦

საერთაშორისო მატჩი ფუალბურთში

✦

28 სექტემბერს საქართველოს ნაკრებთან მატჩში გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ფუალბურთელთა კოლექტივი შეცვლილი შემადგენლობით გამოვიდა—შმიდტისა და შულცეს ნაცვლად თამაშობდნენ ვალტერ ლაკსი და ერიქს ზაკსი. ამ ცვლილებამ გერმანელ სტუმრებს წარმატება ვერ მოუტანა.

ანგარიში თამაშის დაწყებისთანავე უნდა გახსნილიყო, როცა ნ. გვახარიამ კარში ძლიერად და ზუსტად ტყორცნა, მაგრამ სტუმრების მეკარემ გიუნტერ ბეკერმა კვლავ იხსნა კარი აშკარა გოლისაგან. ოდნავ აცდა გ. ჩიქვანაიას მიერ ნატყორცნი ბურთიც. შემდეგ გერმანელთა კარში დაინიშნა 4-მეტრიანი საჯარიმო, ნ. გვახარიას ნატყორცნი ბურთი კარის ბადეში გაეხვია, მაგრამ მსაჯმა ა. გეგელიამ ბურთი არ ჩათვალა იმ მოსაზრებით, რომ თითქოს ნ. გვახარიამ მსაჯის სასტვენის შემდეგ ოდნავ დააყოვნა გერმანელთა კარში ტყორცნა.

ანგარიში ისევ ნ. გვახარიამ გახსნა. მან მეტად ძნელი მდგომარეობიდან ბურთი გაგზავნა გერმანელთა კარისაკენ — 1:0. ამის შემდეგ გ. ჩიქვანაიას უხეშად მოექცნენ კართან და 4-მეტრიანი საჯარიმო ტყორცნა დაზარალებულმა და ანგარიში გახდა 2:0. ახლა უკვე გერმანელები გააქტიურდნენ, სახიფათოდაც შეუტიეს მასპინძელთა კარს, მაგრამ ამაოდ. მეკარე ლ. გოგოლაძე თავის სიმაღლეზე იდგა. შესვენებამდე ანგარიში არ შეცვლილა.

მეორე ტაიმი კვლავ ჩვენი რესპუბლიკის ნაკრების უპირატესობით ჩატარდა. ჯერ ნ. გვახარიამ, ხოლო შემდეგ ზ. ჩაჩავამ თითო ბურთით გაზარდეს ანგარიში და მატჩი დამთავრდა საქართველოს ნაკრები გუნდის გამარჯვებით ანგარიშით 4:0.

ზ. ჯანდიერი



ფრიადებს საბჭოთა კავშირის პირველობის ადამი

გასულ კვირას ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქში „დინამოს“, ფიზკულტურის ინსტიტუტის, „განთიადის“ და ფიზკულტურის საქალაქო კომიტეტის 21 კორტზე ერთდროულად დაიწყო საბჭოთა კავშირის გუნდური პირველობა ჩოგბურთში.

ამ მეტად საინტერესო შეჯიბრებაში მონაწილეობას იღებს 15 მოკავშირე რესპუბლიკის, აგრეთვე მოსკოვისა და ლენინგრადის ნაკრები გუნდები. ყოველი გუნდი შედგება 12 მონაწილისაგან: 3 ქალი, 5 ვაჟი და 2-2 გოგონა და ჭაბუკი. გუნდური შეჯიბრება შეიცავს 21 შეხვედრას — 12 ერთეული და 9 წყვილთა და შერეულ წყვილთა თამაშები.

შეჯიბრების მონაწილეთა რიცხვში არიან ჩვენი ქვეყნის უძლიერესი ჩოგბურთელები: საბჭოთა კავშირის ექვსგზის ჩემპიონი ს. ანდრეევი, ორგზის ჩემპიონი ვ. კუზმენკო, ვერცხლის მედლის მფლობელები, 18 წლის ს. ლიხაჩოვი და ა. დიმიტრიევა, ჩვენი ქვეყნის გასული პირველობების პრიზიორები და ჩემპიონები — ა. ბოიცოვი, ე. ჩუვირინა, ნ. ოზეროვი და სხვ.

ჩვენი რესპუბლიკის სპორტულ ღირსებას იცავენ: სპორტის ოსტატი ი. რიაზანოვა, კ. მინაევა, ზ. ღოღობერიძე, რ. აბუანდაძე, ნ. ნოვოსელცევა, გ. ღარიბაშვილი, ა. ვერულავა, ო. ჭარხალაშვილი, გ. ჩახუნაშვილი, ლ. და ნ. მძინარაშვილები და გ. მუსაელიანი.

შეჯიბრების პირველ დღეს გაიმართა 8 შეხვედრა, რომლებშიც ძლიერი გუნდები სუსტებთან იყვნენ დაწყვილებული, ამიტომ შეხვედრებმა ყოველგვარ მოულოდნელობის გარეშე ჩაიარა.

ქვემოდ მოგვაქვს ტექნიკური შედეგები:

აზერბაიჯანი-სომხეთი — 12 : 5, საქართველო-მოლდავეთი — 17 :0, ლენინგრადი-უზბეკეთი — 14 : 3, ესტონეთი-ტაჯიკეთი — 12 : 0, ლატვია-რსფსრ — 4 : 12, ბელორუსია-ლიტვა — 11 : 6, ყირგიზეთი-თურქმენეთი — 11 : 6, უკრაინა-ყაზახეთი —17 : 0.

ლ. თუშიშვილი

სურათზე: მარცხნივ — მონაწილეთა პარადი. საქართველოსა და მოლდავეთის ჩოგბურთელები შეჯიბრების წინ.

ევროპის თასის მეოთხედფინალში

ეს იყო საბჭოთა კავშირისა და უნგრეთის ნაკრები გუნდების შეხვედრა ევროპის თასზე და პირველი ნაკრები გუნდების რიგით მე-5 შეხვედრა. ამ შეხვედრამდე უნგრეთის ნაკრებს ჩატარებული ჰქონდა 349 საერთაშორისო შეხვედრა, საიდანაც 194 მოიგეს და 86 წააგეს ბურთების შეფარდებით 1.003:680. 1.004-ე გოლი ამ მატჩში გაიტანა სტუმრების ყველაზე ახალგაზრდა თავდამსხმელმა მარცხენა გარემარბმა ი. გოროჩმა, შეხვედრის მეორე ნახევრის 39-ე წუთზე კუზნეცოვის შეცდომის შედეგად.

მოსკოვი. 28 სექტემბერი. ცენტრალური სტადიონი.

საბჭოთა კავშირი (ნაკრები) — უნგრეთი (ნაკრები) — 3 :1 (2 : 0).

უნგრეთი — ბაკო; კარპატი, შიპოში, შაროში; ბერენდი, ბუნუკი: ბუდაი, გოროჩი, ტიხი, ჩორდაში, ბენჩიჩი.

საბჭოთა კავშირი — ბელიაევი; კესარევი, მასლიონკინი, კუზნეცოვი; ცარიოვი, ვოინოვი; მეტრეველი, ივანოვი, სიმონიანი, მამედოვი, ილინი.

პირველი ნახევარი დაიწყო საბჭოთა კავშირის ნაკრების იერიშებით და უკვე მე-3 წუთზე ილინმა გახსნა ანგარიში, რის შემდეგ ტაიმის დამთავრებამდე ჩვენი ქვეყნის ნაკრების თავდამსხმელები, რომლებმაც საკმაოდ დაადინეს მოწინააღმდეგეთა დაცვა, თავისუფლად მოქმედებდნენ. სტუმრებმა გამოსავალი ნახეს მხოლოდ თამაშგარე მდგომარეობის ხელოვნური შექმნით, მაგრამ ამ ფანდმაც არ გაუმართლათ.

მატჩის მე-20 წუთზე მოწინააღმდეგის კარში მეორე გოლი გაიტანა მეტრეველმა, ხოლო ხუთი წუთის შემდეგ სიმონიანის უძლიერესი დარტყმა აკრობატული ნახტომით აიღო უნგრელთა მეკარემ.

პირველი ნახევრის დამთავრებამდე 13 წუთით ადრე ივანოვმა მოატყუა ორი მცველი, შემდეგ მეკარეც და აუჩქარებლად შეაგორა ბურთი ცარიელ კარში — 3:0. ასე დამთავრდა შეხვედრის პირველი ნახევარი.

მატჩი დამთავრდა საბჭოთა კავშირის ნაკრების გამარჯვებით 3:1, ამრიგად, ჩვენი ქვეყნის ფეხბურთელები გავიდნენ ევროპის თასის გათამაშების მეოთხედფინალში.

მეორე ნაკრები გუნდების მატჩი გაიმართა ბუდაპეშტში და დამთავრდა ფრედ — 2 : 2.

კიევში ერთმანეთს შეხვდნენ ახალგაზრდული ნაკრები კოლექტივები. ერთადერთმა ბურთმა, რომელიც სტუმრებმა გაიტანეს, შეხვედრის ბედი მათს სასარგებლოდ გადაწყვიტა. სამაგიეროდ საბჭოთა გუნდის გამარჯვებით დამთავრდა ჭაბუკ ფეხბურთელთა შეჯიბრება — 2 : 1.

ე. კაკაბაძე ფინალში

კიშინიოვში დამთავრდა საკავშირო პირველობის ნახევარფინალური ტურნირი ჭადრაკში ქალთა შორის. აქ გამარჯვებული გამოვიდა კიეველი იაკირი, რომელმაც 13 შეხვედრიდან მოაგროვა 9,5 ქულა. ფინალში მონაწილეობის უფლება მოიპოვეს აგრეთვე ოდესელმა ნისლბონმა, კიშინიოველმა გოიხენბერგმა და თბილისელმა კაკაბაძემ.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 30 სექტემბრისათვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„სპარტაკი“	20	12	5	3	52:26	29
„დინამო“ მ.	21	13	3	5	40:24	29
ცსკ მო	21	9	8	4	40:25	26
„ზენიტი“	20	8	7	5	38:31	23
„ლოკომოტივი“	19	8	6	5	37:27	22
„შახტიორი“	19	9	3	7	21:24	21
„ტორპედო“	21	6	8	7	49:42	20
„დინამო“ კ.	18	5	8	5	31:26	18
„კრ. სოვეტოვი“	20	5	6	9	21:27	16
„დინამო“ თბ.	20	7	2	11	31:53	16
„მოლდავა“	20	3	8	9	23:38	16
„ადმირალტ.“	21	3	0	18	21:61	6

• • •

კიშინიოვი. 26 სექტემბერი. აქ ჩატარდა მატჩი „ა“ კლასის გუნდებს შორის. ადგილობრივმა „მოლდავამ“ მიიღო კუიბიშევის „კრილია სოვეტოვი“, შეხვედრა დამთავრდა მასპინძელთა გამარჯვებით ანგარიშით 1:0.

მეოთხე ზონაში

გასულ კვირას გაიმართა მორიგი კალენდარული მატჩები ჩვენი ქვეყნის პირველობაზე ფეხბურთში IV ზონის გუნდებისათვის. მახაჩ-კალაში ადგილობრივმა „ტემპმა“ მიიღო ქუთაისის „ლოკომოტივი“. შეხვედრა დამთავრდა ფრედ—1:1. კადიევკაში „შახტიორმა“ ანგარიშით 5:1 დაამარცხა თბილისის „ბურევესტნიკი“.

როსტოვში თამაშობდნენ ადგილობრივი სკვო და ლენინაკანის „შირაქი“. შეხვედრა მოიგეს მასპინძლებმა — 1:0. ერევნის „სპარტაკმა“ მორიგი მატჩი გამართა შახტში ადგილობრივი „შახტიორის“ წინააღმდეგ და დაამარცხა იგი ანგარიშით 3:1.

დედაქალაქში უძლიერესი სახელ ისათვის

„განთიადის“ სპორტულ მოედნებზე გრძელდება თბილისის პირველობა ფრენბურთში ძირეულ კოლექტივებს შორის.

ბოლოსწინა დღის თამაშებიდან განსაკუთრებით საინტერესო იყო სასოფლო-სამეურნეო და პოლიტექნიკური ინსტიტუტების ვაჟთა გუნდების შეხვედრა. მისი ბედი მხოლოდ მეხუთე პარტიაში გადაწყდა, რომელიც მოიგეს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სპორტსმენებმა — 16:14. უინტერესო ის არის იმის აღნიშვნა, რომ მომავალი ინჟინრები ამ გადამწყვეტ პარტიაში მეტად ახლოს იყვნენ გამარჯვებასთან (14:9), მაგრამ უპირატესობის შენარჩუნება მათ ვერ შეძლეს.

28 სექტემბერი — პირველობის დასკვნითი დღე — მონაწილეებმა სამართლიანად მონათლეს „სიურპრიზების დღედ“. როცა მოედანზე გამოვიდნენ სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის პირველი და ფიზკულტურის ინსტიტუტის მერე გუნდები, არავის ეპვი არ ეპარებოდა პირველთა გამარჯვებაში, მაგრამ მოხდა სრულიად სხვაგვარად. ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტებმა დიდი აღმავლობით ჩაატარეს ეს თამაში და გაიმარჯვეს 3:2, რითაც მესამე საპრიზო ადგილი გაინაღდეს. მაგრამ ასეთი შედეგის გამო გამოურკვეველი დარჩა ჩემპიონობის ბედი. იგი გადაწყდება პოლიტექნიკური და სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტების სპორტსმენთა დამატებით შეხვედრაში.

მეორე სიურპრიზის მოწმენი გავხდით ქალთა გუნდების შეხვედრაში. 26 კომ. სახ. რაიონის გუნდთან მატჩში ფიზკულტურის ინსტიტუტის ძლიერმა კოლექტივმა ზედიზედ ორი პარტია მოიგო, მაგრამ მათმა მეტოქეებმა შეძლეს ორი მომდევნოს მოგება. გადამწყვეტ პარტიაში წინ იყვნენ სტუდენტები — 11:7 და ბოლოს — 14:13. მაგრამ აქაც იჩინა თავი 26 კომ. სახ. რაიონის სპორტსმენთა შეუპოვრობამ და მათ ხელიდან გამოგლიჯეს მოგება მეტოქეებს — 17:15.

ქალთა ჩემპიონატის პრიზიორების გასარკვევად ჩატარდება კიდევ შეხვედრები: უნივერსიტეტი-ფიზკულტურის ინსტიტუტი და განათლების განყოფილება-26 კომ. სახ. რაიონი. უნივერსიტეტის გუნდს უკვე განაღდებული აქვს პირველი ადგილი. ბრძოლა მომდევნო ადგილებისათვის იქნება.

ფ. ლეონიძე.



1. სვლა გაკეთებულია. 2. როგორ მოსწონს ეს პარტნიორს? 3. მძიმე მდგომარეობა. 4. შამათი!...

ნორჩი მოჭადრაკე

ამ შავთვალა, ცოცხალ ბიჭუნას, რომლის „საჭადრაკო ცხოვრების“ რამდენიმე ეპიზოდს გადმოვცემთ აქ, ეს-ესაა შეუსრულდა 5 წელი. იგი ტაშკენტელი ერნესტ კიმია, რომელიც სხვა მხრივ არაფრით გამოირჩევა თავისი ონავარი თანატოლებისაგან: დარბის, ცელქობს, ყვირის და... ტირის, როდესაც დედიკო რაიმე ცელქობისათვის საგანგებოდ დასჯის.

მაგრამ ერნესტმა სულ რვა თვის წინათ „იპოვნა“ უბანი, რომელმაც მისკენ მოზრდილთა სერიოზული ყურადღება მიიპყრო. ბიჭუნას აღმოაჩნდა სწრაფვა ჭადრაკის თამაშისადმი.

აი როგორ მოხდა ეს: იგი სახლიდან გამოიპარა ახალი ონავრობის ჩასადენად და გაოცებით შედგა, როდესაც ხანშიშესული მეზობლები დაინახა ჭადრაკის დაფაზე თავდახრილნი. ერნესტი დიდი გულისყურით, დაბეჯითებით, ღრმა სერიოზულობით ადევნებდა თვალყურს თამაშის მთელ მსვლელობას... მხოლოდ რამდენიმე საათის შემდეგ იპოვნეს იგი მშობლებმა ასე უჩვეულოდ გატრუნული და გატაცებული, მოზრდილთა „საზოგადოებაში“.

გავიდა რამდენიმე კვირა და ბიჭუნამ უკვე იცოდა, თუ როგორ მოძრაობენ ფიგურები. ცოტა ხნის შემდეგ მან ითამაშა პირველი პარტია იმავე ხანშიშესულ მეზობელთან, რომელმაც მისდაუნებურად აზიარა პაწია ჭადრაკის ხელოვნებას. ამ ადამიანს დიდი ძალღონის, ენერგიისა და საზრიანობის დახარჯვა მოუხდა იმისათვის, რომ ცეროდენას „იარაღი დაეყარა“.

მაგრამ ეს ხომ რვა თვის წინ მოხდა! ახლა ერნესტი იშვიათად თუ ადგება ჭადრაკის დაფასთან მიდგმული სკამიდან თავჩაქინდრული, მოწყენილი და ცრემლმორეული— ეს წაგების ნიშანია. მან რამდენიმე გამარჯვება მოიპოვა „დიდ“ მოჭადრაკეებთან, რომლებსაც აქვთ მეორე და მესამე სპორტული თანრიგი. ამჟამად ნიჭიერი ბიჭუნა გამოცდილი მოჭადრაკე გ. შახ-ზადეს შეთვალყურეობის ქვეშაა.

ჟურნალი „სმენა“.

სხვადასხვა

სად წარმოიშვა ფეხბურთი?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბევრს ჰგონია, რომ ფეხბურთი წარმოიშვა ინგლისში. მაგრამ ეს აზრი სინამდვილეს როდი შეეფერება. ძველი ხელნაწერებისა და სურათების საშუალებით დამტკიცდა, რომ 3.000 წლის წინათ ჩ. წ. აღრიცხვამდე ჩინეთში, ტშენგ-ტზის მეფობის პერიოდში, თამაშობდნენ ფეხბურთს. მეფე ტშენგ-ტზი დიდი გულშემატკივარი ყოფილა. მას ჩამოუყალიბებია ორი გუნდი, რომლებსაც ყოველთვიურად უნდა ეჩვენებინა თავიანთი ოსტატობა. გამარჯვებულ მხარეს მბრძანებელი ყოველთვის უხვად აჯილდოვებდა. მოთამაშეები საჩუქრად იღებდნენ ძვირფას სამოსს, ღვინოს, ხილს, ვერცხლის მოჩუქურთმებულ სასმისებს. დამარცხებულთ ადგილზევე ამათრახებდნენ.

მწვრთნელი ჯაუშის როლში

როგორც პოლონეთის სააგენტო იტყობინება, ქალაქ კოტოვიცში უშიშროების ორგანოებმა ამას წინათ დააპატიმრეს ამერიკის დაზვერვის აგენტი ბ. ზგოლია, რომელიც სილეზიაში მუშაობდა ფეხბურთელთა გუნდის მწვრთნელად. გასულ წელს ზგოლია თავისი ნათესავების სანახავად იმყოფებოდა მაინის-ფრანკფურტში, სადაც ამერიკის დაზვერვამ იგი მოისყიდა. პოლონეთში დაბრუნების შემდეგ ჯაშუში აგროვებდა სახელმწიფო მნიშვნელობის ცნობებს და აგზავნიდა საზღვარგარეთ.

ბელგრადი. იუგოსლავიის „პარტიზანის“ და რუმინეთის „ლოკომოტივის“ რეგბისტთა მატჩი დიდი ანგარიშით მოიგეს სტუმრებმა — 38:6.

ზაგრები. ჩოგბურთელთა საერთაშორისო ტურნირში ბუდაპეტშმა ანგარიშით — 5:3 დამარცხა ზაგრების გუნდი, ამ უკანასკნელმა კი ბელგრადის სპორტსმენთა კოლექტივი — 5:4.

ლოძი. ადგილობრივი კალათბურთელების გუნდი ლეს ორჯერ შეხვდა კაუნასის „ყალგირისს“. გამარჯვება ორივე შეხვედრაში საბჭოთა სპორტსმენებმა მოიპოვეს — 84:57 და 79:62.

ბიგდოში. (პოლონეთი). ადგილობრივმა მოკრივეებმა დაამარცხეს ლაიპციგის სპორტსმენები — 13:7.

დუბროვნიკი. დამთავრდა ჩოგბურთელთა საერთაშორისო ტურნირი. ვაჟთა შორის პირველი ადგილი მოიპოვა კრიშნანმა (ინდოეთი), ქალთა შორის კი — ვაიდელმა (უნგრეთი).

სან-პაულო. 1959 წელს ბრაზილიის ფეხბურთელთა გუნდი „სანტოსი“ გამართავს ტურნეს ევროპაში. სამხრეთ ამერიკელი ფეხბურთელები გამოვლენ: ჩეხოსლოვაკიაში, გფრ-ში, ავსტრიაში, პორტუგალიაში, ბელგიაში; შეეიცარიაში, იტალიაში, საბერძნეთსა და თურქეთში.

მუზეუმი მდიდარი ექსპონატებით

ვარშავაში გაიხსნა სპორტული მუზეუმი. შეგროვდა ყველა ის დოკუმენტი, რაც სპორტული მუზეუმის პროფილს შეეფერებოდა. საგულდაგულოდ იქნა დაკომპლექტებული მასალები, რომლებიც ფაშისტური ომის დღეებს გადაურჩა.

ვარშავის სპორტულ მუზეუმში თავმოყრილი დოკუმენტები და ექსპონატები თვალნათლივ მეტყველებენ პოლონეთში ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარებაზე. მუზეუმს აქვს რამდენიმე დარბაზი. ოლიმპიურ დარბაზში გამოფენილია ოქროს მედლები და დიპლომები, რომლებიც პოლონელ სპორტსმენებს მიუღიათ ოლიმპიურ თამაშებზე. გარდა ამისა, ამავე დარბაზში გამოკიდულია საპატიო დაფა, რომელზეც გამოსახული არიან პოლონეთის გამოჩენილი სპორტსმენები და რეკორდსმენები. აქვე გამოფენილია ძვირფასი ნოხი, რომელიც პოლონელმა სპორტსმენებმა საჩუქრად მიიღეს 1948 წელს ლონდონში გამართულ ოლიმპიურ თამაშებზე კარგი მაჩვენებლებისათვის.

ყოველი დარბაზი მოუთხრობს მნახველთ სპორტის სხვადასხვა სახეობების შესახებ. ერთ-ერთი დარბაზი მიძღვნილია პოლონეთში ველოსპორტის განვითარებისადმი. პრიმიტიულ ველოსიპედების გვერდით გამოფენილია თანამედროვე მანქანები. აქვეა სათხილამურო სპორტში მომხდარი ევოლუციის ამსახველი დარბაზი: XI-XII საუკუნის ძვლის თხილამურების გვერდით, რომლებიც არქეოლოგიური გათხრების დროს იქნა აღმოჩენილი, აწყვია უახლესი ტიპის თხილამურები. ერთ-ერთი დარბაზი მიძღვნილია იმ სპორტსმენებისადმი, რომლებიც დაიღუპნენ ფაშისტებთან ომში ან ნაცისტების მიერ იქნენ მოკლული.

თასის გათამაშების პირველი ტური

ამასწინათ ლენინის სახელობის სპორტდარბაზში ჩატარდა საბჭოთა კავშირის თასის გათამაშების პირველი ტური ფარიკაობაში.

შეჯიბრება ტარდებოდა ოლიმპიური სისტემით. ე. ი. წაგების შემთხვევაში მონაწილე ითიშებოდა შეჯიბრებიდან. რახან ჩატარების სისტემას შევეხეთ, აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ შეჯიბრების ჩამტარებლებმა გადაუხვიეს შეჯიბრების პრაქტიკულ წესს (ძლიერი ხედებოდა სუსტს და საბოლოოდ თავს იყრიდნენ უძლიერესნი), რამაც ის გამოიწვია, რომ შეჯიბრებას თავიდან გამოაკლდნენ სპორტის ოსტატები გ. ჯაიანი, მ. სახვაძე, ნაკრების წევრი ი. დავიდოვსკი და სხვები.

რაპირით ბრძოლაში ქალთა შორის ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ სპორტის ოსტატი ჯ. გიორგაძე („ბურევესტნიკი“) და ი. ესაიაშვილი (საქ. პოლიტექ. ინსტიტუტი). ამ უკანასკნელმა ტაქტიკურად სწორად ააგო ბრძოლა და გამარჯვებას მიაღწია — 8:5.

ვაჟთა შორის ამავე სახეობაში კარგად ჩაატარეს ნახევარფინალური ბრძოლები ბუგიანაშვილმა, რომელმაც ადვილად მოუგო მატინოვს (ორივე განათლების განყოფილება) და უნივერსიტეტის სტუდენტმა ო. კიკალეიშვილმა, რომელმაც ანგარიშით 10:7 დაამარცხა თანაგუნდელი თ. ცქიტიშვილი. გამარჯვებულთა შეხვედრაში აშკარა იყო სპორტის ოსტატ ო. კიკალეიშვილის უპირატესობა — 10:6.

დაძაბული ბრძოლით აღინიშნა სპორტის ოსტატების მ. სახვაძისა (საქ. პოლიტექნიკური ინსტიტუტი) და ნ. ასათიანის(ფიზკულტურის ინსტიტუტი) შეხვედრა ნახევარფინალში. გაიმარჯვა ასათიანმა. ფინალურ ბრძოლაში ამ უკანასკნელმა ორი ჩხვლეტის სხვაობით დაამარცხა ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტი ჯ. გოგაძე და პირველობა მოიპოვა.

დაშნით ბრძოლაში ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტების სპორტის ოსტატის ა. ასათიანისა და პირველთანრიგოსან ი. პეტროსოვის ფინალური შეხვედრა დამთავრდა ა. ასათიანის გამარჯვებით — 10:4.

პირველ-მეორე ადგილზე გამოსული სპორტსმენები მონაწილეობას მიიღებენ თასის გათამაშების მეორე ტურში, რომელიც ჩატარდება ხაშურში, რის შემდეგაც მხოლოდ პირველ ადგილზე გამოსული მოფარიკაველები გაემგზავრებიან კაუნასში თასის გათამაშების დასკვნით ტურში მონაწილეობისათვის, რომელიც ოქტომბრის ბოლოს შედგება.

გ. სამსონაძე

ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკურ კომიტეტში

ამას წინათ ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკურმა კომიტეტმა განიხილა ჩოგბურთელ გ. ღარიბაშვილის საკითხი. ღარიბაშვილმა, რომელიც ადრევე შემჩნეული იყო უდისციპლინობაში, მოსკოვში, პროფკავშირების საკავშირო სპარტაკიადაზე კვლავ დაარღვია წესრიგი და ამით უმტყუნა გუნდს.

კომიტეტმა მიიღო მხედველობაში ის, რომ მან წრფელად აღიარა თავისი დანაშაული და მისცა ერთი წლით პირობითი დისკვალიფიკაცია. ჩოგბურთის რესპუბლიკურ სექციას მიეთითა, რომ მან გადაჭრით გააუმჯობესოს იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობა სპორტსმენთა შორის.

ქვემოთ ვაქვეყნებთ გ. ღარიბაშვილის განცხადებას, რომელშიც იგი გმობს თავის მოქმედებას და ინანიებს დანაშაულს.

* * *

ვიყავი რა პროფკავშირთა საკავშირო სპარტაკიადაზე ქ. მოსკოვში, უკრაინის გუნდთან ჩვენი რესპუბლიკის გუნდის შეხვედრის დროს მე ულირსად ვიქცეოდი, რაც გამოიხატებოდა მოედანზე ცუდი თავდაჭერით, არასერიოზული ბრძოლით, მოწინააღმდეგის შეუფასებლობით. ეს იყო ჩემი არასერიოზულობის შედეგი, რომელსაც მე ღრმად ვინანიებ. ვგრძნობ რა ჩემი საქციელის დაუშვებლობას და გუნდისათვის მიყენებულ ზიანს, პირობას ვდებ, რომ მომავალში ყოველგვარ შეჯიბრებაზე მოვიქცევი ისე, როგორც შეეფერება ნამდვილ სპორტსმენს, არ დავუშვებ დისციპლინის დარღვევის არავითარ შემთხვევას, მთელი ჩემი ძალებით და შესაძლებლობით დავიცავ გუნდისა და კოლექტივის ღირსებას.

სპორტსაზოგადოება „განთიადმა“ მე უკვე სამართლიანად დამსაჯა. გთხოვთ მომცეთ შესაძლებლობა მომავალში მონაწილეობა მივიღო შეჯიბრებებში, ღირსეულად დავიცვა ჩვენი რესპუბლიკის სპორტული ღირსება და ამით დავამტკიცო, რომ მე სათანადო დასკვნები გამოვიტანე ყოველივე ზემოაღნიშნულიდან.

გ. ღარიბაშვილი

რედაქტორი ი. უგულავა.

გაზეთი გამოდის სამშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით. რედაქციის მისამართი, თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12. დეპეშებისათვის: თბილისი, „ლელო“, ტელეფონები რედაქტორის 3-89-62, მდივნისა და განყოფილებების — 3-90-34.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 14. ფფ 06612